შპს „ვან"

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:

გვ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში ფორმა N1 3

საქმიანობის შედეგები ფორმა N 2 4-5

ფულადი სახსრების მოძრაობა ფორმა N 3.....5

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 6

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....6

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....7

4. ძირითადი საშუალებები..... 8

5. მარაგები-..... 9

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 9

8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები 9
ფინანსური რისკების მართვა

9. კაპიტალის მართვა 9

10. გადასახადები 10

11. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი 11

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები----------11

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება..... 11

N1 ფინანსური მდგომარეობა 2019 წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	406518	0
სავაჭრო მოთხოვნები	100	0
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	1620068	0
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	1620068	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	108968	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	5150	0
ძირითადი საშუალებები	2971	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ნსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	2143775	0
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1175043	0
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	379	0
სულ ვალდებულებები	1175422	0
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', ოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	750000	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	218353	0
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	968353	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2143775	0

ფორმა N2 საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	7598517	0
საქონლის გაყიდვიდან	7598517	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
	- 6776002	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	822515	0
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-46521	0
ცვეთა და ამორტიზაცია	-104	0
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6478	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-53103	0
საოპერაციო მოგება	769412	0
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო	0	0
პერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	769412	0
ანგრძობითი ოპერაციებიდან	-4412	0
მოგების გადასახადი	765000	0
მოგება/(ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური	0	0
ქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე	0	0
წარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და	0	
ადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	765000	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		

		0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის ზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის ზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-15000	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	218353	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	968353	0

ფულადი სახსრების მოძრაობა ფორმა N 3

ფულადი სახსრების მოძრაობა	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2019
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	406518
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	0
სავალუტო კურსის ეფექტი	406518
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	0
	406518

შპს ,,ვან''-ის დირექტორი

გრიგორი სუკასიან

მთავარი ბუღალტერი

კარლო ხუციშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1, ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვან"-ი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 2019 წლის 7აგვისტოს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებული იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რეგისტრაციის ნომერია 819082928. ხოლო თარიღია 07/08/2019. შპს ვან -ის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. N36. ბინა N11, ამავე თარიღიდან შემოსავლების სამსახურის მიერ აყვანილი იქნა გადასახადის გადამხდელად და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერო: 423356406.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლი და 100% წილის მფლობელია გრიგორი სუკასიან (ს/ნ 07001002178);

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 750 000 (შვიდას ორმოცდა ათ) ლარს;

ანგარიშგების მომზადების დროს, საზოგადოების იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს: საქართველო, ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. N36. დირექტორია გრიგორი სუკასიან.

შპს ,,ვან"-ის წესდებით ძირითადი საქმიანობაა სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თანბაქოს ნაწარმით.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

საზოგადოებამ ფუნქციონირება დაიწყო 2019 წლის აგვისტოში, სადაც დასაქმდა და 2019 წლის 31 დეკემბრისათვისაც მუშაობდა 21 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2019 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოების მიერ მსს ფასს შესაბამისად გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა".

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისას, ვინაიდან საზოგადოება ფუნქციონირებდა 2019 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში ანგარიშგებას არ აქვს წინა წლების შესადარისი ინფორმაცია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ ანგარიშგებას. აღნიშნული ანგარიშგების მომზადების ძირითადი დებულებები ეფუძნება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდია 2019 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი", რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების განკარგულებაში არსებული საქონლის რეალიზაციის დროს ყველა რისკი და სარგებელი გადადის მყიდველზე მიუხედავად თანხის ჩამორიცხვისა, აგრეთვე, მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასვე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფიფი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

შპს ,,ვან''-ის ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს (მიმდინარე ხარჯებს) აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით;

აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებას დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით სააღრიცხვო პოლიკიტიკით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

ანგ. 2130	შენობები და ,ნაგებობები	5%
ანგ. 2150	მანქანა - დანადგარები	20%
ანგ.2160	ოფისის აღჭურვილობა	20%
ანგ. 2170	ავეჯი და ინვენტარი	20%
ანგ. 2180	სატრანსპორტო ,შუალებები	20%

5. მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სააღრიცხვო პერიოდში მარაგის (საქონლის) აღრიცხვის დროს გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის პერიოდული მეთოდი. შეძენილი გვაქვს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა ,,ფმჯ" და მიმდინარეობს მუშაობა მარაგების მუდმივი აღრიცხვის მეთოდით სარგებლობაზე გადასვლისათვის .

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს ,,ვან"-ი საქონლის გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

7. სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს შპს ,,ვან"-ის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

9. კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგების და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვისაგან.

წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების -შპს-ს პარტნიორების საერთო კრებაზე განხილვის დროს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შპს ვანის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 750 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის განყოფილებაში აგრეთვე ნაჩვენებია გასულ წლებში გამოუყენებელ მოგების თანხა რაც შეადგენს 218 353 ლარს.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულ წესებსა და ნორმებს. მოგების გადასახადით დაბეგვრის დროს საწარმო იყენებს ე.წ. ესტონურ მეთოდს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

10. გადასახადები

10.1. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „შპს ვან"-ი იბეგრება ე.წ. ,,ესტონური მოდელით".

გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი" წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი".

10,2. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

10.3) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია" იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის თანამშრომლები სარგებლობენ საშემოსავლო გადასახადში მაღალმთიანობის შესახებ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებილი შეღავათით.

11. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდში სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებულმა ნეტო მოგებამ შეადინა 1848 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

პანდემიის გავლენა:

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID 19). 2020 წელს ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული ვირუსის ფართოდ გავრცელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე და მით უმეტეს მისი ფუნქციონირებადობის უნარზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია პარტნიორთა კრების მიერ 2019 წლის 30 მარტს.